



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმა**

სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: **ლელა ჯაში**

წევრები:

მარიამ ჭყონია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

ხათუნა თოიძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

კახა გალდავა - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

გვანცა მოლაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;

ლედი კუთხაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;

მაკა აფრიამაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;

მაია მენაბდე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;

მიმოზა ტყეზურავა - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;

მიხეილ გაფრინდაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;

ლანა კუჭავა - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ქალაქ თბილისის №211 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	226527513

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	თბილისი, წავკისი, რუსთაველის ქ. N1
საფოსტო ინდექსი	0114
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://bit.ly/45pKLGW
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Tbilisi211@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	-

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანება MES 4 25 0000431022, 22/04/2025;
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	14 და 15 მაისი, 2025წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი - I-VI კლასები;	ქართული ენა	თბილისი, წავკისი, რუსთაველის ქ. N1
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო - VII-IX კლასები;	ქართული ენა	თბილისი, წავკისი, რუსთაველის ქ. N1
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო - X-XII კლასები.	ქართული ენა	თბილისი, წავკისი, რუსთაველის ქ. N1

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანების MES 4 25 0000431022, 22/04/2025 საფუძველზე, მიმდინარე წლის 14 და 15 მაისს განხორციელდა ვიზიტი სსიპ- ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლაში (შემდგომში სკოლა, დაწესებულება). ექსპერტების ჯგუფს დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. ვიზიტის ბოლოს, ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც სამუშაო პროცესში გამოიკვეთა.

აღსანიშნავია, რომ წარმოების ფარგლებში საგნობრივ ექსპერტებს, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა განეხორციელებინათ სასწავლო პროცესში გამოყენებული კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსების, ასევე, ადამიანური რესურსის (პედაგოგები) კვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენა მოქმედ კანონმდებლობასთან. ზემოაღნიშნული განხორციელდა ინტერვიუების, შესყიდვების დოკუმენტაციის, თანამშრომელთა პირადი საქმეების, სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან პედაგოგების პორტირებული მონაცემების განხილვის, ასევე, იმ ფოტომასალის საფუძველზე, რომელიც ვიზიტის შემდეგ ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ გადაეგზავნათ ექსპერტებს.

როგორც დაწყებითი საფეხურის ექსპერტის რევიზირების საფუძველზე ირკვევა, მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა სახელმწიფო ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველებისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტებთან. მათ ერთდროულად წარმართეს ინტერვიუების პროცესი და იმოქმედეს შეთანხმებულად. მის მიერ გაცემული რჩევები აისახა საგნობრივი ექსპერტების ჩანაწერებში.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

წარმოგიდგენთ სკოლის საერთო მახასიათებლებს საგანმანათლებლო ლიდერობის, ტექნოლოგიური კომპეტენციისა და თანამშრომლობითი კულტურის კონტექსტში. კერძოდ, დოკუმენტაციის შესწავლის, დაწესებულებაში ვიზიტის და სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ მოცემული სკოლა წარმოადგენს თანამედროვე საგანმანათლებლო სტრატეგიებზე ორიენტირებულ დაწესებულებას, სადაც სკოლის დირექტორი იკავებს აქტიური საგანმანათლებლო ლიდერის პოზიციას. იგი მხოლოდ ადმინისტრაციული მმართველი კი არა, არამედ სისტემურად მოაზროვნე ლიდერია, რომელიც მიზანმიმართულად განავითარებს პედაგოგიურ პროცესს, აძლიერებს სკოლის როგორც ორგანიზაციის ზრდას და ხელს უწყობს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას.

სკოლაში დანერგილია თანამშრომლობითი კულტურა, რაც გულისხმობს გადაწყვეტილებების მიღებაში მასწავლებელთა, ადმინისტრაციისა და სხვა თანამშრომელთა აქტიურ ჩართულობას. ასეთი მიდგომა ზრდის ინკლუზიურობას, უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების სანდოობას და ამაღლებს პროფესიული კმაყოფილების დონეს. თანამშრომელთა შორის ურთიერთობა აგებულია ნდობასა და კოლექტიურ პასუხისმგებლობაზე, რაც ასახავს განათლების თანამედროვე მმართველობით პრინციპებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სკოლის დირექტორის მაღალი ტექნოლოგიური კომპეტენცია. ის მიზნობრივად იყენებს ციფრულ რესურსებს სკოლის მართვის პროცესში. კონკრეტულად, ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის პროცესში აქტიურად იყენებს ელექტრონულ პლატფორმებზე დაფუძნებულ კითხვარებს, როგორიცაა Google Forms. ეს იძლევა შესაძლებლობას სწრაფად, ზუსტად და ეფექტიანად შეაგროვოს მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობლებისგან მიღებული უკუკავშირი. შემდგომ ანალიზზე დაყრდნობით ხდება პრობლემების იდენტიფიცირება, საჭიროებების შეფასება და განვითარების მიზნების დასახვა.

დირექტორის ამგვარი მიდგომა ადასტურებს მისი მენეჯერული ფუნქციების შეთავსებას საგანმანათლებლო პროცესების ლიდერობასთან. იგი უზრუნველყოფს სკოლის მიზნების მუდმივ გადახედვას, დინამიკურ მართვას და ციფრული რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას. თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრაცია მენეჯმენტსა და სწავლების პროცესში სკოლას განსაკუთრებულად მოქნილ და ადაპტირებად სტრუქტურად წარმოაჩენს.

მთლიანობაში, მოცემული სკოლა არის ინოვაციური და კოლაბორაციული საგანმანათლებლო გარემოს მაგალითი, რასაც ხელს უწყობს მისი ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი, სადაც ტექნოლოგიური მხარდაჭერა, ღია მმართველობა და პროგრესული ლიდერობა ქმნის მდგრადი განვითარების პირობებს.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2	☒ შეესაბამება



პერსონალის განვითარება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 350	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ექსპერტთა ჯგუფმა სრულად შესაბამისად შეაფასა სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	ხარვეზი
ინდიკატორი N...		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	დაწესებულებამ მოიპოვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა . დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (06.06.2025-06.09.2025) დაწესებულებამ უზრუნველყოს სკოლის შიდა ეზოს კეთილმოწყობა - კერძოდ, დაუცველი და ჩაღრმავებული ადგილები, მოსწავლეთა ფიზიკური დაზიანების რისკის აღმოსაფხვრელად დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (10.06.2025-10.06.2027)
ინდიკატორი 3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	სკოლამ მოიპოვის მიღება-ჩაბარების აქტი ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ. დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (10.06.2025-10.06.2027)

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N...		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N...		

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართუა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების	მიზანშეწონილია, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის დასაქმება დაწესებულებაში.



	მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	ფიზიკური აღზრდა 1. I-II კლასის კურიკულუმს სასურველია დაემატოს თემა: „მოძრავი თამაშები“ იმ სპორტის სახეობის ელემენტებით, რომლის რესურსიც (ინვენტარი) გააჩნია სკოლას. 2. სასურველია შემცირდეს თემები, რომელშიც მუშავდება ერთი სამიზნე ცნება. ეს საშუალებას მისცემს პედაგოგს, 5-6 კლასის ფიზიკური აღზრდის საათობრივ ბადიდან გამომდინარე სრულად განახორციელოს კურიკულუმში გაწერილი იმ თემების შესწავლა, რომელშიც მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. ესთეტიკური აღზრდა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში, თითოეული თემის ფარგლებში, მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, რაც სრულყოფილად უნდა აისახოს კურიკულუმის შესაბამის გრაფაშიც

ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს.	ესთეტიკური აღზრდა 1. მუსიკის კურიკულუმებში შუალედური მიზნის შესაბამისი დავალების პირობები გაიწეროს სრულყოფილი სახით. 2. მუსიკის კურიკულუმებში მიეთითოს საგნისთვის განსაზღვრული საათობრივი დატვირთვა და სემესტრული განაწილება. 3. მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში თითოეულ თემას/საკითხს მიეთითოს შესაბამისი საათობრივი დატვირთვა.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები 1. საბუნებისმეტყველო ლაბორატორია აკმაყოფილებს სტანდარტებს თუმცა მწირი რესურსით. სასურველია ლაბორატორია შეივსოს ახალი რეაქტივებით და სადემონსტრაციო ექსპერიმენტებისთვის საჭირო რესურსებით ესთეტიკური აღზრდა მუსიკის კურიკულუმებში აისახოს ყველა ის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელიც პრაქტიკაში გამოიყენება მასწავლებლების მიერ და რომელიც გამოიკვეთა ინტერვიუს საფუძველზე.
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები 1. სასურველია შემაჯამებელი ან/და სადიაგნოსტიკო დავალებების პირობების შექმნისას, აგრეთვე შუალედური სასწავლო მიზნის ფორმატის კომპლექსურ დავალების/კომპლექსური ბუნების დავალების, ან სასწავლო პროექტების შეთავაზების დროს, უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული ან ინკლუზიური მიდგომები. ესთეტიკური აღზრდა მიზანშეწონილია, რომ მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში აისახოს დიფერენცირების ის პრაქტიკა, რომელიც რეალურად გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები 1. სასურველია შეფასების სისტემის უფრო დახვეწა. (მრავალფეროვანი ინსტრუმენტების შემოტანა). ასევე როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები გაკეთდეს თითოეული თემის ფარგლებში და მიმართული იყოს სამიზნე ცნებების გააზრება/დამუშავებაზე. ესთეტიკური აღზრდა მნიშვნელოვანია, განმავითარებელი შეფასების პროცესში მოსწავლეს მიეწოდოს კონკრეტული, გასაგები და



		მიზნებზე ორიენტირებული რჩევები, რომლებიც დაეხმარება მას სწავლის პროცესში წინსვლასა და განვითარებაში.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	ესთეტიკური აღზრდა 1. მუსიკის შეფასების რუბრიკებში, ყველა კრიტერიუმში უნდა შეესაბამებოდეს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს. ზოგიერთი კრიტერიუმში (მაგალითად, მღერის ინდივიდუალურად და გუნდურად) საჭიროებს გადახედვას. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები უნდა ჩამოყალიბდეს ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი ნიმუშების მსგავსად — ორიენტირებული სამიზნე ცნებებზე, სოლო ტაქსონომიის დონეების შესაბამისად. 2. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში, სადაც თითოეული კრიტერიუმისთვის განსაზღვრულია ქულათა დიაპაზონი (მაგალითად, 0-დან 4-მდე), მიზანშეწონილია, თითოეულ ქულას ახლდეს შესაბამისი აღწერა, ეს ხელს შეუწყობს შეფასების პროცესის ობიექტურობას, სიზუსტესა და გამჭვირვალობას. ქულათა განმარტებები უნდა შეესაბამებოდეს კონკრეტული კრიტერიუმის შინაარსს და ნათლად ასახავდეს მოსწავლის საქმიანობის ხარისხსა და შესრულების დონეს. 3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების შეფასების რუბრიკაში კრიტერიუმები არ შემოიფარგლოს მხოლოდ მოსწავლის მიერ პრაქტიკული უნარების (მაგალითად, ტექნიკის ფლობის) გამოხატვით. ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნობრივი სტანდარტები მოიცავს არა მხოლოდ პრაქტიკულ კომპონენტს, არამედ შემოქმედებითი იდეების ფორმულირებას და კონცეპტუალური გაგების უნარს. შეფასების მხოლოდ ტექნიკურ უნარებზე ორიენტაცია ქმნის რისკს, რომ ვერ აისახოს მოსწავლის სრულფასოვანი პროგრესი.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური	



ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	ფიზიკური აღზრდა და სპორტი 1. საბაზო საფეხურზე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმის თემა ოლიმპიზმში, სასურველია არ მეორდებოდეს 7-9 კლასში ერთი და იგივე საკითხები, შესაბამისად შეძლებისდაგვარად სრულად შეისწავლონ ოლიმპიზმის განვითარების ისტორია (ანტიკური და თანამედროვე ოლიმპიადები; საქართველო ოლიმპიადებზე; ქართველი ოლიმპიელები; ზამთრის ოლიმპიადა; პარა ოლიმპიადა; ოლიმპიური სიმბოლოები და ა.შ). საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სასურველია, რომ პედაგოგებმა გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი და სტანდარტის მიხედვით დაიხვეწოს ფიზიკის, ბიოლოგიის და ქიმიის საბაზო საფეხურის კურიკულუმები. კერძოდ მკაფიოდ გაიწეროს თემები, თემის ქვეშ არსებული საკითხები / საკითხთა კლასტერები, თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. შესაბამისობაში იქნას მოყვანილი თემების შესაბამისობა სტანდარტთან და კურიკულუმის ჩარჩოს შესაბამის ველთან. ესთეტიკური აღზრდა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების VIII კლასის კურიკულუმში თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. რაც ასახული უნდა იყოს კურიკულუმის შესაბამის გრაფაშიც.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმში მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სასურველია საგნობრივ კურიკულუმში გაწერილი აქტივობები მიმართული იყოს და უზრუნველყოს სწავლის შედეგების მიღწევა. სკოლას არ წარმოუდგენია განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები, რომლებიც თვალსაჩინოდ წარმოაჩენდა რამდენად შესაბამისობაშია სასწავლო პროცესი კურიკულუმთან. ესთეტიკური აღზრდა მუსიკის კურიკულუმებში შუალედური მიზნის შესაბამისი დავალების პირობა გაიწეროს სრულყოფილი და მკაფიო ფორმით. 2. მუსიკის კურიკულუმებში მიეთითოს საგნისთვის განსაზღვრული საათობრივი დატვირთვა და სემესტრული განაწილება. 3. მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში თითოეულ თემას/საკითხს მიეთითოს შესაბამისი საათობრივი დატვირთვა.

ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები საბუნებისმეტყველო ლაბორატორია აკმაყოფილებს სტანდარტებს თუმცა მწირი რესურსით. სასურველია ლაბორატორია შეივსოს ახალი რეაქტივებით და სადემონსტრაციო ექსპერიმენტებისთვის საჭირო რესურსებით. ესთეტიკური აღზრდა მუსიკის კურიკულუმებში მიზანშეწონილია აისახოს ყველა ის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელიც პრაქტიკაში გამოიყენება მასწავლებლების მიერ და რომელიც გამოიკვეთა ინტერვიუს საფუძველზე. ასეთი ჩანაწერი გააძლიერებს კურიკულუმის პრაქტიკულობას და უკეთ ასახავს სწავლების რეალურ გამოცდილებას.
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები წარმოდგენილ დოკუმენტებში არ ჩანს დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. სასურველია შემაჯამებელი ან/და სადიაგნოსტიკო დავალებების პირობების შექმნისას, აგრეთვე შუალედური სასწავლო მიზნის ფორმატის კომპლექსურ დავალების/კომპლექსური ბუნების დავალების, ან სასწავლო პროექტების შეთავაზების დროს, უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული ან ინკლუზიური მიდგომები. ესთეტიკური აღზრდა მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში მიზანშეწონილია აისახოს დიფერენცირების არსებული პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, საბოლოო ნამუშევარი წარმოადგინონ მათთვის მისაღებ ფორმატში. ამგვარი ჩანაწერის შეტანა კურიკულუმში ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის სისტემატიზაციას, მრავალფეროვნებას ხაზგასმას და მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტაციას.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სასურველია შეფასების სისტემის უფრო დახვეწა, (მრავალფეროვანი ინსტრუმენტების შემოტანა), რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. შეფასების სისტემის გასაუმჯობესებლად აუცილებელია არამარტო განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების აქტიურად გამოყენება. ასევე მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკებისაც. სამართლიანობისა და ობიექტურობის თვალსაზრისით მოსწავლეები შეაფასებენ ერთმანეთს და იმსჯელებენ ერთმანეთის გასაუმჯობესებელ შედეგებზე. მოსწავლეების ჩართულობა შეფასების რუბრიკების



		შემუშავების პროცესში გაზრდის სანდოობას და გამჭვირვალობის დასტური იქნება როცა მოსწავლეები და მათი მშობლები წინასწარ გაეცნობიან დავალების შეფასების რუბრიკებს. ესთეტიკური აღზრდა მნიშვნელოვანია, განმავითარებელი შეფასების პროცესში მოსწავლეს მიეწოდოს კონკრეტული, გასაგები და მიზნებზე ორიენტირებული რჩევები, რომლებიც დაეხმარება მას სწავლის პროცესში წინსვლასა და განვითარებაში.
ინდიკატორი 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები საბაზო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები გაწერილია სავალდებულო თემებით და შესაბამისი შუალედური სასწავლო მიზნებით, რომლებიც საჭიროებს დახვეწას (თითოეულ თემაში უნდა დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება შეძლებისდაგვარად). წარმოდგენილია ასევე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალების ანალიზის რუბრიკა, მასწავლებლებთან საუბრისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა ამ მხრივ სკოლა საჭიროებს მეტ პრაქტიკულ მუშაობას.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები 1. კარგი იქნება თუ შეფასების სისტემის ვალიდურობის პრინციპის უზრუნველყოფის მიზნით შეიმუშავენ უფრო კონკრეტულ, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ შეფასების რუბრიკებს. 2. მოსწავლეებს წინასწარ მიაწოდონ დავალების პირობა, მიზანი და შეფასების კრიტერიუმები. 3. კათედრის წევრებმა მოლოდინების შესაბამისად გააანალიზონ მოსწავლეთა ნამუშევრები შუალედურ მიზნებთან მიმართებით და მოაწოდონ უკუკავშირი კათედრაზე შეთანხმებული ფორმითა და ფორმატით. ესთეტიკური აღზრდა მნიშვნელოვანია, მუსიკის შეფასების რუბრიკებში გამოყენებული ყველა კრიტერიუმი იყოს მჭიდრო კავშირში საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან. ამ ეტაპზე რუბრიკაში მოცემული ზოგიერთი კრიტერიუმი არ ეფუძნება პირდაპირ საგნობრივ შედეგებს, რის გამოც სასურველია მათი გადახედვა და შესაბამისობაში მოყვანა, რათა შეფასება გახდეს მიზანმიმართული, სამართლიანი და საგნობრივ მიზნებზე



		ორიენტირებული. 2. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შემუშავდეს იმგვარი ფორმულირებით, როგორც წარმოდგენილი იყო ვიზიტის პერიოდში. აღნიშნული რუბრიკები ორიენტირებულია სამიზნე ცნებებზე და მკაფიოდ აღწერს მოსწავლეთა საქმიანობას სხვადასხვა დონეზე. 3. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში, სადაც თითოეული კრიტერიუმისათვის განსაზღვრულია ქულათა დიაპაზონი (მაგალითად, 0-დან 4-მდე), მიზანშეწონილია, თითოეულ ქულას ახლდეს შესაბამისი აღწერა, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ობიექტურობას, გამჭვირვალობასა და სიზუსტეს. 4. ქულათა აღწერილობები კრიტერიუმების შინაარსთან უნდა იყოს თანხვედრაში და მკაფიოდ ასახავდეს მოსწავლის წარმოდგენილი საქმიანობის ხარისხსა და შესრულების დონეს. 5. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმები არ შემოიფარგლოს მხოლოდ მოსწავლის მიერ პრაქტიკული უნარების (მაგ. ტექნიკის ფლობის) გამოვლენით. ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნობრივი სტანდარტები ასევე ითვალისწინებს შემოქმედებითი იდეების ფორმულირებას და კონცეპტუალური გაგების უნარს.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი - საშუალო საფეხური	
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სასურველია, რომ პედაგოგებმა გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი და სტანდარტის მიხედვით დაიხვეწოს ფიზიკის, ბიოლოგიის და ქიმიის საშუალო საფეხურის კურიკულუმები. კერძოდ მკაფიოდ გაჩეროს თემები, თემის ქვეშ არსებული საკითხები/საკითხთა კლასტერები, თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. ესთეტიკური აღზრდა მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში, პროექტული დავალების ჩანაწერის დროს, სრულყოფილი სახით დაფიქსირდეს თავად პროექტის იდეა და ის კონკრეტული პროდუქტი, რომელიც მოსწავლემ უნდა შექმნას



		პროექტის ფარგლებში. ამგვარი ფორმულირება პროექტზე ორიენტირებულ სწავლებას უფრო მიზანმიმართულსა და მკაფიოს გახდის.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმში მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს .	ფიზიკური აღზრდა და სპორტი მე-10 კლასის კურიკულუმში, სასურველია თემების შესწავლისთვის განსაზღვრული სავარაუდო საათობრივი ჯამი თანხვედრაში მოვიდეს აღნიშნული კლასის წლიურ საათობრივ ბაღესთან. (დაამატეთ თემები.) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები 1. სასურველია საგნობრივ კურიკულუმში გაწერილი აქტივობები მიმართული იყოს და უზრუნველყოს სწავლის შედეგების მიღწევა. სკოლას არ წარმოუდგენია განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები, რომლებიც თვალსაჩინოდ წარმოაჩენდა რამდენად შესაბამისობაშია სასწავლო პროცესი კურიკულუმთან. ესთეტიკური აღზრდა 1. კურიკულუმებში მიეთითოს საგნისთვის განსაზღვრული საათობრივი დატვირთვა და სემესტრული განაწილება. 2. კურიკულუმებში თითოეულ თემას/საკითხს მიეთითოს შესაბამისი საათობრივი დატვირთვა.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები საბუნებისმეტყველო ლაბორატორია აკმაყოფილებს სტანდარტებს თუმცა მწირი რესურსით. სასურველია ლაბორატორია შეივსოს ახალი რეაქტივებით და სადემონსტრაციო ექსპერიმენტებისთვის საჭირო რესურსებით ესთეტიკური აღზრდა 1. მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში აისახოს ყველა ის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელსაც მასწავლებლები რეალურად იყენებენ სასწავლო პროცესში და რომელიც გამოიკვეთა ინტერვიუს დროს. აღნიშნული ჩანაწერი გააძლიერებს კურიკულუმის პრაქტიკულობას და ასახავს სწავლების რეალურ გამოცდილებას. 2. მნიშვნელოვანია,

		რომ კურიკულუმში მითითებული ციფრული რესურსები (ბმულები) ტექნიკურად გამართული და ხელმისაწვდომი იყოს, რაც ხელს შეუწყობს მათ ეფექტური გამოყენებას სასწავლო პროცესში.
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	ესტეტიკური აღზრდა მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში აისახოს დიფერენცირების არსებული პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა საბოლოო პროდუქტი შექმნან მათთვის სასურველ ფორმატში — ესე, პრეზენტაცია, ვიდეოპრეზენტაცია და სხვ. აღნიშნული ჩანაწერის გაკეთება კურიკულუმებში უზრუნველყოფს პროცესის სისტემატიზაციას და სწავლების მრავალფეროვნების ხაზგასმას.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სასურველია შეფასების სისტემის უფრო დახვეწა, (მრავალფეროვანი ინსტრუმენტების შემოტანა), შეფასების სისტემის გასაუმჯობესებლად აუცილებელია არამარტო განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების აქტიურად გამოყენება. ასევე მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკებისაც. სამართლიანობისა და ობიექტურობის თვალსაზრისით მოსწავლეები შეაფასებენ ერთმანეთს და იმსჯელებენ ერთმანეთის გასაუმჯობესებელ შედეგებზე. მოსწავლეების ჩართულობა შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში გაზრდის სანდოობას და გამჭვირვალობის დასტური იქნება როცა მოსწავლეები და მათი მშობლები წინასწარ გაეცნობიან დავალების შეფასების რუბრიკებს.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები 1. კარგი იქნება თუ შეფასების სისტემის ვალიდურობის პრინციპის უზრუნველყოფის მიზნით შეიმუშავებენ უფრო კონკრეტულ, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ შეფასების რუბრიკებს. 2. ასევე კარგი იქნება შემუშავდეს შეფასების რუბრიკების მოსწავლეებისა და მათი



	მშობლებისათვის გაცნობის მექანიზმი. 3. მოსწავლეებს წინასწარ მიაწოდონ დავალების პირობა, მიზანი და შეფასების კრიტერიუმები. 4. კათედრის წევრებმა მოლოდინების შესაბამისად გააანალიზონ მოსწავლეთა ნამუშევრები შუალედურ მიზნებთან მიმართებით და მოაწოდონ უკუკავშირი კათედრაზე შეთანხმებული ფორმითა და ფორმატით. ესთეტიკური აღზრდა 1. მნიშვნელოვანია, რომ პროექტის შეფასების რუბრიკებში, როგორც მუსიკაში, ასევე სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, გამოყენებული ყველა კრიტერიუმი იყოს მჭიდრო კავშირში საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან. ამ ეტაპზე რუბრიკაში მოცემული ზოგიერთი კრიტერიუმი არ ეფუძნება პირდაპირ საგნობრივ შედეგებს, რის გამოც რეკომენდებულია მათი გადახედვა და შესაბამისობაში მოყვანა, რათა შეფასება გახდეს მიზანმიმართული, სამართლიანი და საგნობრივ მიზნებზე ორიენტირებული. 2. მიუხედავად იმისა, რომ შეფასების რუბრიკებში, როგორც მუსიკაში, ასევე სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, გათვალისწინებულია დონეების გამოყოფა (დაბალი, საშუალო, კარგი, ან დიახ/არა), სასურველია რუბრიკა განივრცოს და დაიგეგმოს ხუთ დონიანად. ასევე აუცილებელია, რომ თითოეულ დონეზე შეფასება იყოს ჩამოყალიბებული კონკრეტულად იმ აქტივობებთან და ცოდნის გამოვლენის ფორმებთან მიმართებით, რაც უკავშირდება თემის შინაარსსა და სასწავლო მიზნებს. 3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების შეფასების რუბრიკაში კრიტერიუმები არ შემოიფარგლოს მხოლოდ მოსწავლის მიერ პრაქტიკული უნარების (მაგ. ტექნიკის ფლობის) გამოვლენით. ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნობრივი სტანდარტები ასევე ითვალისწინებს შემოქმედებითი იდეების ფორმულირებას და კონცეპტუალური გაგების უნარსა. შეფასების მხოლოდ პრაქტიკულ უნარებზე დაფუძნება ზრდის რისკს, რომ შეფასება სრულად არ ასახავს მოსწავლის მიღწევებს.
--	--

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

დაწესებულებამ სრულად გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის (შემდგომში სკოლა, დაწესებულება) მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს („ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს პარლამენტის N4261-XIVმს-Xმპ, 12/06/2024 დადგენილება). შემუშავებული მისიით დაწესებულება გეგმავს ეროვნულ-პატრიოტულ სულისკვეთებაზე, პიროვნულ განვითარებაზე, უნივერსალურ ეთიკურ პრინციპებსა და დემოკრატიულ ღირებულებებზე ორიენტირებული სასკოლო გარემოს შექმნას. სკოლის ხედვაც, მკაფიოდ ასახავს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტის მთავარ პრინციპს - დროის გარკვეულ მონაკვეთში, 2031 წლისთვის, უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების განვითარება, მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბება, სკოლაში მიმდინარე პროცესების მხარდაჭერა, სოციალური კაპიტალის გაძლიერება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულება არსებული მისიით და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციოკულტურულ სივრცის ფორმირებაში. სკოლის ფილოსოფიაში აქცენტირებულია ის ძირითადი მიმართულებები, რომლისთვისაც შეიქმნა დაწესებულება და

უზრუნველყოფს უსაფრთხო, პოზიტიური, მოსწავლის ინტერესებზე მორგებული, სიახლეებზე და განვითარებაზე ორიენტირებული, თანამშრომლობითი სასწავლო გარემოს შექმნას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. დაწესებულებას გააზრებული აქვს მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობა. შესაბამისად, სკოლის ფილოსოფიის ფორმირება ყველა რგოლის ჩართულობით განხორციელდა. კერძოდ, დაწესებულებას სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-01, 15/01/2024წ. შექმნილი ჰყავს სსიპ - ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფი (ასევე, ცვლილების დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც კორექტირება განიცადა სამუშაო ჯგუფის შემადგენლობამ). სკოლის ფილოსოფიის რევიზირება განხორციელდა კანონმდებლობის ცვლილების საფუძველზე - რაც გულისხმობდა მისიისა და ხედვის ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას. როგორც სსიპ - ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ოქმიდან N02, 05.03.2025წ. ირკვევა, სკოლის ფილოსოფიის რევიზირება განხორციელდა „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს პარლამენტის N4261-XIVმს-Xმპ, 12/06/2024 დადგენილების საფუძველზე. თუმცა, მისიის და ხედვის შინაარსობრივ ნაწილში ცვლილება არ განხორციელებულა. სკოლის მისიის ნარატიული ნაწილი ჩანაცვლდა ხედვით და პირიქით - ხედვა ჩანაცვლდა მისიით. ექსპერტებმა განიხილეს ის კითხვარებიც, რომლებიც სასკოლო საზოგადოებას მიეწოდა Google Forms - ით და რომელიც მოიცავდა სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. დაწესებულების ფილოსოფია გაზიარებულ იქნა სასკოლო საზოგადოების მიერ. კერძოდ, როგორც აღინიშნა, სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგები, მშობლები და მოსწავლეები მონაწილეობდნენ სკოლის ფილოსოფიის შედგენის პროცესში და შესაბამისად, მათი თანამონაწილეობა ადასტურებს გაზიარების პროცედურებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ არის ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის. სკოლას აქვს ვებ. გვერდი, სადაც სკოლის ფილოსოფიის გაცნობა შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს. სკოლის შესასვლელში, ფოიეში ფილოსოფია გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448

ბრძანების შესაბამისად, სკოლის სახელწოდებაა „სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლა“. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-01, 15/01/2024წ. შექმნილი სსიპ - ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფი (ასევე, ცვლილების დოკუმენტი);
- სსიპ - ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ოქმები;
- ფილოსოფიის გადახედვის ინიცირების კორესპონდენცია;
- კითხვარები;
- სკოლის ვებ. გვერდი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შედგენილი და დამტკიცებული აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით „სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (სკოლის დირექტორის ბრძანება N-2-30, 07.03.2025წ.), რომელიც აღწერს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხორციელების და შეფასების ზოგად მიდგომებს, მოთხოვნებს და სამუშაო პროცესს. სტრატეგიული გეგმის ფორმირებას წინ უძღოდა SWOT ანალიზი, რომელიც შემუშავებულ იქნა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და გამოკითხვის შედეგები (საქმეშია კითხვარების ნიმუშები სკოლის მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის და მასწავლებლებისთვის) აისახა სკოლის მიერ შედგენილ დოკუმენტებში. ვიზიტის დროს, ექსპერტები გაეცნენ შესაბამის კითხვარებს, შეხვედრის ოქმებს, გაესაუბრნენ სასკოლო საზოგადოებას და დარწმუნდნენ, რომ პროცესები მეთოდოლოგიის შესაბამისად წარიმართა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა (2024-2031 წლები) დამტკიცებულ იქნა სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 29 მაისის N05 სხდომაზე. სტრატეგიული გეგმის მიზნებსა და სკოლის ფილოსოფიას შორის იკვეთება მკაფიო კორელაცია. კერძოდ, სკოლის სამივე სტრატეგიული მიმართულება - 1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობით, რესურსებითა და მიმდინარე პროცესებით უზრუნველყოფილია მისი ინსტიტუციური მდგრადობა და მუშაობის ეფექტურობა; 2. უზრუნველყოფილია მაღალი ხარისხის, კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე დაფუძნებული სწავლა-სწავლება, სადაც იქმნება წარმატებული და სასიამოვნო გამოცდილება ყველა მოსწავლისთვის და 3. სკოლის მიერ გაწეული სერვისები განვითარებული, მოქნილი, ადვილად ხელმისაწვდომი და მომხმარებელზე ორიენტირებულია - ასახავ/ეხმარება სკოლის ფილოსოფიის მთავარ

გზავნილებს. დეტალური და მიზნობრივია სტრატეგიული ამოცანები და ინფორმაცია მოსალოდნელ შედეგებზე, რისკებზე, გარე პარტნიორების ჩართულობაზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას. სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2024-2025 წლები) დამტკიცდა სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 23 სექტემბრის N10 სხდომაზე. ექსპერტებმა განიხილეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა. როგორც გაირკვა, სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ამოცანები, ასევე, გაეცნენ სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. კერძოდ, სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტის უკუკავშირის ამსახველი კითხვარის ნიმუშს, სამუშაო ჯგუფის ოქმებს სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების თაობაზე, სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმს (N06, 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის დამტკიცებაზე) და დარწმუნდნენ გეგმის პროექტის შედგენისას გათვალისწინებული იქნა, როგორც წინარე გამოცდილება, ასევე სკოლის სტრატეგიული მიზნები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში (2024-2025 წლები) ასახულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესაბამისი რესურსები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (სკოლის დირექტორის ბრძანება N-2-30, 07.03.2025წ.);
- სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა (2024-2031 წლები);
- სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 29 მაისის N05 სხდომის ოქმი;
- სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2024-2025 წლები);
- სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 23 სექტემბრის N10 სხდომის ოქმი;
- სამუშაო ჯგუფის ოქმები;
- კითხვარები.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც აღინიშნა, დაწესებულებას შედგენილი და დამტკიცებული აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით „სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“ (სკოლის დირექტორის ბრძანება N-2-30, 07.03.2025წ.), რომლის დანართი N1 ასახავს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
2. სკოლის სტრატეგიის განხორციელების შეფასება ხორციელდება ორჯერ - შუალედური და შემაჯამებელი შეფასების სახით. შუალედური შეფასება ტარდება ახალი სტრატეგიული ციკლის დაწყებიდან მესამე წლის ბოლოს, ხოლო სტრატეგიის განხორციელების შემაჯამებელი შეფასება იწყება მიმდინარე სტრატეგიული ციკლის ვადის გასვლამდე 6 თვით ადრე და სრულდება მიმდინარე სტრატეგიის დოკუმენტის ვადის ამოწურვამდე. ექსპერტებმა განიხილეს დაწესებულების მიერ შედგენილი დოკუმენტაცია, კერძოდ, სამუშაო ჯგუფის ოქმები N3, 26.06.2024წ. და N1, 31.12.2025წ., საიდანაც ირკვევა, რომ დაწესებულება ახორციელებს სამოქმედო გეგმის მონიტორინგს და წარმოადგენს ანგარიშს შესრულებული სამუშაოს შესახებ. ასევე, გაეცნენ სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმს N06, 27.06.2025წ., სადაც განხილულ იქნა სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
3. ვინაიდან, სკოლა ექვემდებარება პირველად ავტორიზაციას, ექსპერტები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას შეაფასონ სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელების შედეგები. დაწესებულებას ღრუბლოვან სივრცეში ატვირთული აქვს საქალაქო, სადაც მტკიცებულებების სახით აგროვებს სამოქმედო გეგმის შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტაციას. ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს აღნიშნული საქალაქო და დარწმუნდნენ, რომ პროცესები სკოლის მიერ დადგენილი რეგულაციების შესაბამისად ხორციელდება. 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმების განხორციელების

შედეგები საჯაროა და წარმოდგენილია სკოლის ვებ. გვერდზე. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. ექსპერტები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, შეაფასონ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოყენებულია თუ არა სკოლის შემდგომი განვითარებისთვის, ვინაიდან სკოლა ექვემდებარება პირველად ავტორიზაციას. ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (სკოლის დირექტორის ბრძანება N-2-30, 07.03.2025წ.);
- სამუშაო ჯგუფის ოქმები N3, 26.06.2024წ. და N1, 31.12.2025წ.;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმს N06, 27.06.2025წ.;
- სკოლების პორტალი.

შეფასება:

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

◦ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებული აქვს საშტატო განრიგი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია სკოლაში დასაქმებულ პირთა თანამდებობები და რაოდენობა. სკოლის სტრუქტურა დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N-2-24, 04.03.2025წ. სკოლის თითოეულ თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, სადაც მკაფიოდაა განსაზღვრული დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობები. შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სხვა თანამშრომლებთან საქართველოს შრომითი კოდექსის მოთხოვნათა დაცვით. სკოლას შედგენილი და დამტკიცებული აქვს „სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები“ (N-2-25, 04.03.2025წ.), სადაც გაწერილია თანამშრომელთა ფუნქცია მოვალეობები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლის სტრუქტურული ერთეულები და პერსონალი შერჩეულია სკოლის საჭიროებებიდან გამომდინარე. ფუნქცია-მოვალეობების სწორი და ზუსტი განაწილება უზრუნველყოფს დაწესებულების ეფექტიან ფუნქციონირებას. სკოლის მოქმედი სტრუქტურული ერთეულები ხელს უწყობენ სწავლა-სწავლების პროცესის კანონით დადგენილი წესით წარმართვას. სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ თანამშრომლები კარგად იცნობენ საკუთარ ფუნქციებს და ჯეროვნად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობებს. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებული საშტატო განრიგი;
- სკოლის სტრუქტურა დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით N-2-24, 04.03.2025წ.;
- „სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები“ (N-2-25, 04.03.2025წ.);~

- შრომითი ხელშეკრულებები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, რომელიც განხილული და დამტკიცებული იქნა სამეურვეო საბჭოს სხდომაზე (N08, 05.09.2025წ.). ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია სკოლაში შესაბამისი პროცედურების და პოლიტიკის დანერგვა, რაც დადებითად აისახება როგორც სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე, ასევე, სკოლის ორგანიზაციულ განვითარებაზე. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. სკოლის შინაგანაწესის გაცნობა სავალდებულოა სკოლის ყველა თანამშრომლისთვის - იგი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის - განთავსებულია სკოლის შენობაში და ვებ. გვერდზე. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. როგორც უკვე აღინიშნა, სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, განსაზღვრავს დაწესებულებაში დასაქმებული პირების/სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია მოვალეობებს, სკოლას შედგენილი აქვს და დირექტორის N-2-25, 04.03.2025წ. ბრძანებით დამტკიცებული თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები. შესაბამისად, დაწესებულების მიერ შერჩეული პერსონალის მართვასთან დაკავშირებული პროცესები პროგნოზირებადია. სკოლის შინაგანაწესი და თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, ასევე, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის ინტერვენციებს, რაც პერსონალის მართვის პროცესში იჩენს თავს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლას შემუშავებული აქვს დაწესებულებაში დასაქმებული პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და შესაბამისად, პერსონალის შერჩევის დროს პროცესები ორგანიზებული და გამჭვირვალეა. სკოლის მასწავლებლების შერჩევისას დაწესებულება ხელმძღვანელობს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ მიხედვით. ხოლო, სხვა თანამშრომლების შერჩევა ხორციელდება სკოლის მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. ვიზიტის დროს ექსპერტებმა განიხილეს საკონკურსო მასალა და დაადგინეს შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან. გარდა ამისა, შეისწავლეს პერსონალის პირადი საქმეები, რომლებიც სხვა დოკუმენტაციასთან ერთად შეიცავდა კანონით დადგენილ ცნობებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. შესარჩევი კონკურსების დოკუმენტაციის და სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეების შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ კანდიდატები აკმაყოფილებენ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს დაწესებულების Eschool - ის ბაზა. როგორც გაირკვა, სკოლის მასწავლებლებს მინიჭებული აქვთ შესაბამისი სტატუსები და აკმაყოფილებენ „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით“ განსაზღვრულ მოთხოვნებს. სკოლაში დასაქმებულია სულ 22 მასწავლებელი, მათგან 21 უფროსი, ხოლო 1 წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მქონეა. რაც შეეხება სკოლის სხვა თანამშრომლებს, მათი პირადი საქმეების, ასევე, დაწესებულების მიერ შედგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების განხილვის საფუძველზე, დადგინდა, რომ მათი კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. სკოლაში გადაწყვეტილების მიღება ერთპიროვნულად არ ხდება. სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი გადაწყვეტილებებს ერთობლივად იღებენ, განიხილავენ სკოლის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს. პროცესები შეჯერებულია და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს - აღნიშნულზე მეტყველებს სკოლის მიერ შემუშავებული მექანიზმები, სტრუქტურული ერთეულების შეხვედრების ამსახველი დოკუმენტაცია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. როგორც გაირკვა, წარმატებული გამოცდილების აღიარება და გაზიარება, სკოლის დირექციის მხრიდან ხორციელდება, რაც გამოიხატება მადლობის გამოცხადებით, ფულადი ჯილდოთი და მხარდაჭერით სხვადასხვა პროექტების, თუ აქტივობების განხორციელებისას. პედაგოგებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ მათი მხარდაჭერა აისახება მათ მოტივაციაზე, მუშაობის ხარისხზე და დადებით გავლენას ახდენს მათ საქმიანობაზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, რომელიც განხილული და დამტკიცებული იქნა სამეურვეო საბჭოს სხდომაზე (N08, 05.09.2025წ.);
- „თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები“ - დირექტორის ბრძანება N-2-25, 04.03.2025წ.;
- შრომის შინაგანაწესი;
- საკონკურსო დოკუმენტაცია;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- Eschool - ის ბაზა;
- შრომითი ხელშეკრულებები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია თანამშრომელთა საჭიროებების დადგენის მექანიზმები და შესაბამისი ინტერვენციები. თანამშრომელთა პირადი საქმეების დათვალიერებისას დადგინდა, რომ სკოლის თანამშრომელთა პროფესიული განვითარება დაწესებულების პრიორიტეტთა რიცხვშია. სკოლა სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ შედგენილი სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების 2024-2025 სასწავლო წლის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა, სადაც გამოკვეთილია მასწავლებლის კონკრეტული საჭიროება და მითითებულია ის მიზნობრივი აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს პედაგოგთა გაძლიერებას სხვადასხვა მიმართულებით, ასევე, მითითებულია დროის რა პერიოდში უნდა განხორციელდეს მათი მხარდაჭერა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ განვითარებას. სკოლის შიდა ბაზაზე ხორციელდება გამოცდილების და ცოდნის გაზიარება, რაც ხელს უწყობს პედაგოგებს განავითარონ პროფესიული უნარ-ჩვევები. სკოლის სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია ამოცანები, რომელთა მიზანია სკოლაში პერსონალის ეფექტიანი მართვის პოლიტიკის უზრუნველყოფა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (ამოცანა 1.4). ზემოაღნიშნული მიიღწევა შემდეგი აქტივობების განხორციელების საფუძველზე: თანამშრომელთა განვითარებისთვის საჭირო ტრენინგების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების დაგეგმვა და განხორციელება (ინოვაციური სტრატეგიები/ მეთოდები; სწავლების პროცესში ახალი ტექნოლოგიების გამოყენება); ტრენინგ- სემინარებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა, პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობების/სტრატეგიების განხილვა და მათთვის განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა; მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ

შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. კათედრებზე მასწავლებლებს შორის გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება და ა.შ. ექსპერტებმა განიხილეს აღნიშნული დოკუმენტაცია (ელექტრონული საქაღალდეები) და დარწმუნდნენ, რომ პროცესები მიმდინარეობს სკოლის მიერ შემუშავებული რეგულაციების შესაბამისად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. დაწესებულებას შედგენილი და სკოლის დირექტორის 2024 წლის 22 იანვრის N 2-15 ბრძანებით დამტკიცებული აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით „სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლაში ახალი თანამშრომლის ადაპტირება და სოციალიზაცია“, რომელშიც დეტალურად არის წარმოდგენილი ის ნაბიჯები (სულ 16), რომლებიც უნდა გადადგას დაწესებულებამ, რათა ახალმა თანამშრომელმა მაქსიმალურად კომფორტულად გაიაროს ადაპტაციის პერიოდი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. სკოლის შინაგანაწესი, ასევე, სკოლის მიერ შედგენილი დოკუმენტი - „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ - არეგულირებს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ასპექტებს, რაც თანამშრომელთა წახალისების საფუძველი შეიძლება გახდეს. სკოლის დირექციასთან საუბრისას გაირკვა, რომ თანამშრომელთა წახალისება სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა და დადებითად აისახება მათ შემდგომ საქმიანობაზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, რომელიც განხილული და დამტკიცებული იქნა სამეურვეო საბჭოს სხდომაზე (N08, 05.09.2025წ.);
- სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების 2024-2025 სასწავლო წლის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა;
- 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- სკოლის დირექტორის 2024 წლის 22 იანვრის N 2-15 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი „სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლაში ახალი თანამშრომლის ადაპტირება და სოციალიზაცია“;
- სკოლის შრომის შინაგანაწესი.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 18 მარტის N 2-34 ბრძანებით, დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ქმნის დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებს და სახელმძღვანელო პრინციპებს. დოკუმენტის მიზანია, სწავლების ხარისხის განვითარებისათვის ხელშეწყობა. სკოლაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მუშაობა ხორციელდება დემინგის ციკლის შესაბამისად. სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან საუბრისას, ასევე, დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების (კათედრები, პედაგოგიური საბჭო) მუშაობის

ამსახველი მტკიცებულებების განხილვისას გაირკვა, რომ ზემოაღნიშნული პროცესები სკოლაში რეალურად მიმდინარეობს და დადებითად აისახება სკოლის განვითარებაზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. დაწესებულება იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი პროცესებიდან ერთ-ერთი დაწესებულების მხრიდან სწავლა სწავლების ხარისხის უზრუნველყოფაა. აღნიშნული დასტურდება სკოლის მიერ შედგენილი სხვადასხვა დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე. ძირითადი პროცესები - კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა, ასევე, წარმატებით ხორციელდება სკოლაში. დამხმარე პროცესები - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, საბიბლიოთეკო მომსახურება, საქმისწარმოება და ა.შ. - შეუფერხებლად მიმდინარეობს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. დაწესებულებას შედგენილი და სკოლის სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 15 იანვრის N 2-09 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა, რომელიც ავალდებულებს დაწესებულებას განსაზღვროს სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლაში წარდგენილი განცხადების/საჩივრის დარეგისტრირების, განხილვისა და შედეგის დადგენის პროცედურები. დოკუმენტის მიხედვით, ინფორმაცია გასაჩივრების პროცედურების შესახებ მიაწოდოს ყველა დაინტერესებულ პირს - მოსწავლეს, მასწავლებელს და მშობელს. საჩივრებს განიხილავს სკოლის დისციპლინური კომიტეტი, ასევე, საჭიროების შემთხვევაში სამეურვეო საბჭო. სკოლაშია შექმნილია სააპელაციო კომიტეტიც. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. ვინაიდან, დაწესებულებას შედგენილი აქვს საჩივრების განხილვის მექანიზმი და ასევე ვალდებულება, რომ ზემოაღნიშნული წესის შესახებ მიაწოდოს ინფორმაცია ყველა დაინტერესებულ პირს მეტყველებს იმაზე, რომ სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლაში ხორციელდება პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა. სასკოლო საზოგადოება ინფორმირებულია საკუთარი უფლებების შესახებ. ერთის მხრივ, ეს ასახულია შესაბამის ხელშეკრულებებში (სკოლის თანამშრომლებთან და მშრობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები), ასევე, სკოლის მიერ შედგენილ დოკუმენტაციაში. მოსწავლის მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებაც, ამის ნათელი მაგალითია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 18 მარტის N 2-34 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სკოლის სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 15 იანვრის N 2-09 ბრძანებით დამტკიცებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა;
- შრომის შინაგანაწესი;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულება უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესში სასკოლო საზოგადოების და ყველა დაინტერესებული პირის აქტიურ ჩართულობას. კერძოდ, მშობლები, სკოლის თანამშრომლები და მოსწავლეები იცნობენ სკოლის პოლიტიკის და მართვის დოკუმენტებს, დებულებებს, მარეგულირებელ წესებს, სასკოლო სასწავლო გეგმას, ინფორმაციას შეფასების სისტემის შესახებ, ვინაიდან, დაწესებულება უზრუნველყოფს მათთვის შინაგანაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმის და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტების მიწოდებას. სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 15 იანვრის N 2-08 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი,, რომელიც მიზანია, გაზარდოს საზოგადოების დაინტერესება/ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში. სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის დირექტორის 2021 წლის 01 მარტის N 2-09 ბრძანებით, კი დამტკიცდა სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია), რომელიც განსაზღვრავს მხარეთა უფლება მოვალეობებს და ვალდებულებებს, მშობლის სკოლაში გამოცხადების წესს, მშობელთან კომუნიკაციის სტრატეგიას და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, მრჩეველთა საბჭო. თითოეულის ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში მიზნობრივი და

კანონმდებლობით განსაზღვრულია. სკოლის სამეურვეო საბჭოში და დისციპლინურ კომიტეტში პედაგოგებთან ერთად მშობლები და საშუალო საფეხურის მოსწავლეები არიან წარმოდგენილები. მოსწავლეთა თვითმმართველობა არჩევითი ორგანოა, რომელიც ასევე მონაწილეობს სასკოლო ცხოვრებაში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 15 იანვრის N 2-08 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი“;
- სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის დირექტორის 2021 წლის 01 მარტის N 2-09 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო

უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის წესრიგს უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის წარმომადგენლები, დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერები, დაწესებულებაში დირექტორის ბრძანებით დაკომპლექტებულია მრჩეველთა საბჭო, რომლის პირდაპირი დანიშნულებაა სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხების განხილვა და სკოლის დირექტორისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდება. **სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და ექსპერტთა მხრიდან გაიცა რჩევა, აღნიშნული კადრის სკოლაში დასაქმების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით (რჩევა).** სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ 2024 წლის 05 სექტემბრის N 08 სხდომაზე დამტკიცდა დოკუმენტი, სახელწოდებით „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება“ რომლის მიზნებიდან ერთ-ერთი სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ნუსხაა წარმოდგენილი. დოკუმენტის მე-7 თავი შეიცავს ინფორმაციას სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ.

შსს სსდ – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან 2024 წლის 03 დეკემბრის N MIA 9 24 03672019 წერილის საფუძველზე, დაწესებულებას შეთანხმებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა მიწერილი წერილი შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისადმი - შენობა-ნაგებობის

სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით (MES 9 25 0000447570, 13/05/2025წ.); დაწესებულებაში ვიზიტისას, ექსპერტებმა დაათვალიერეს სკოლის შენობის ხანძარსაწინააღმდეგო/კვამლსაწინააღმდეგო სისტემა. განიხილეს სკოლის დოკუმენტაცია - დაწესებულებას და განსაზღვრული ჰყავს ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ექსპლუატაციაზე, ტექნიკურ მომსახურებაზე, მათ შეკეთებაზე, დაცვასა და გამოყენებისათვის მზადყოფნაზე პასუხისმგებელი პირი.

სკოლას აქვს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, გაცემული 2023 წელს, სკოლის რეაბილიტაციამდე, რომლის თანახმად, შენობის ტექნიკური მდგომარეობა შეიძლება შეფასდეს დამაკმაყოფილებლად, თუმცა, „შენობა საჭიროებს გეგმიური სარემონტო სამუშაოების და სეისმური მდგრადობის ასამაღლებელი ღონისძიებების ჩატარებას (დამატებითი განივი ჩარჩოების მოწყობის გზით)“. ვინაიდან, 2024 წელს ჩატარდა სკოლის სრული რეაბილიტაცია-გამაგრება, აღნიშნული დოკუმენტი აღარ ასახავ რეალურ სურათს, შესაბამისად, დაწესებულებას არ აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური. სკოლის განმარტებით, შენობის ექსპლუატაციაში შესვლის დოკუმენტის მოპოვების შემდეგ, დაგეგმილი იყო სკოლის მდგრადობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება.

დაწესებულებას წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 06.06.2025-06.09.2025 პერიოდი. ინდიკატორი შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - დაწესებულებამ მოიპოვოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.

სკოლას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის ექთანი რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება. სკოლის ექიმის კაბინეტი აკმაყოფილებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანებით №41/ნ/01-23/, 21.03.2022წ. წარმოდგენილ რეგულაციებს.

სკოლის წინა პერიმეტრზე, შესასვლელთან, რკინის ღობეა. სკოლის უკანა პერიმეტრი (შიდა ეზო), კედლით არის გარშემორტყმული. თუმცა, შიდა ეზოში შეინიშნება ინფრასტრუქტურული პრობლემები, კერძოდ, დაუცველი და ჩაღრმავებული ადგილები, რაც ქმნის მოსწავლეთა ფიზიკური დაზიანების რისკს უსაფრთხოების ზომების არასათანადოდ დაცვის შემთხვევაში. შესაბამისად, ექსპერტებმა მიმართეს სკოლის დირექციას - მოაწყოს დროებითი ბარიერები და/ან განათავსონ სკოლის ეზოში გამაფრთხილებელი ნიშნები, ვიდრე არ განხორციელდება ტერიტორიის რეკონსტრუქცია უსაფრთხოების სტანდარტების შესაბამისად . ინდიკატორი არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დაწესებულებას წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 10.06.2025-10.06.2027 პერიოდი. ინდიკატორი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება“. რეკომენდაცია - დაწესებულებამ უზრუნველყოს სკოლის შიდა ეზოს კეთილმოწყობა - კერძოდ, დაუცველი და ჩაღრმავებული ადგილები, მოსწავლეთა ფიზიკური დაზიანების რისკის აღმოსაფხვრელად

2. დაწესებულებაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, დასაქმებულია ექთანი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს პირველად დახმარებას. სკოლას სამტატო განრიგით ჰყავს განსაზღვრული ექთანი - ვინაიდან, ვერ განხორციელდა ექიმის დასაქმება საკადრო დეფიციტის გამო. სკოლის ექიმის კაბინეტი სათანადოდ აღჭურვილია. ექთნის მიერ წარმოებული დოკუმენტაცია და ვალდებულებები, კანონმდებლობის შესაბამისია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. დაწესებულება ხელმძღვანელობს 2019 წლის 29 იანვრის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ №06/ნ ბრძანებით, რომელიც განსაზღვრავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელ პრევენციულ ღონისძიებებსა და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელ ღონისძიებებს. სკოლის მანდატურები ზრუნველყოფენ შენობის შიდა და გარე პერიმეტრის მონიტორინგს და დარღვევის შემთხვევაში ახორციელებენ შესაბამის რეაგირებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლა ზრუნავს არა მარტო ფიზიკურ უსაფრთხოებაზე, არამედ სასკოლო საზოგადოების ფსიქოლოგიურ და ემოციურ უსაფრთხოებაზეც. დამრიგებლები და სკოლის დირექცია ცდილობენ გამოკვეთილ სირთულეებზე რეაგირებას და მოსწავლეთათვის მხარდაჭერის შეთავაზებას. დაწესებულება უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის ისეთი პრევენციული ხასიათის აქტივობების შეთავაზებას, რომლებიც მოსწავლეთა მიმართ ძალადობას, ჩაგვრას, უფლებათა დაცვას ეხმიანება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. სკოლაში დასაქმებული ტექნიკური პერსონალი უზრუნველყოფს სკოლის მთელი პერიმეტრის, მათ შორის, სველი წერტილების სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლის ექთანიც ჩართულია მონიტორინგის პროცესში. დაწესებულებას სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 13 ნოემბრის N 2-131 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურის ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის წლიური გეგმა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას დასუფთავების სამუშაოების შესახებ - ყოველდღიურ, ყოველკვირეულ და ყოველთვიურ მოვალეობებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. სკოლას შედგენილი და დამტკიცებული აქვს დოკუმენტი - პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი (ბრძანება N2-119, 11.10.2024წ.) ზემოაღნიშნული დოკუმენტი ავალდებულებს დაწესებულებას დაიცვას პერსონალური მონაცემები „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ძველი თბილისის რესურსცენტრის ბრძანების (MES 5 25 0000315978, 21/03/2025წ.) „საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის იმ თანამშრომლის განსაზღვრის შესახებ, რომელიც სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლაში უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციების განხორციელებას“ საფუძველზე, სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლისთვის განისაზღვრა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

7. როგორც უკვე აღინიშნა, დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით „სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის პერსონალური მონაცემების დაცვა“, დამტკიცებული სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-119, 11.10.2024წ.. სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ელექტრონულ პლატფორმაზე (Eschool) უზრუნველყოფს ელექტრონული ინფორმაციის დაცვას არავტორიზებული წვდომისგან. სკოლის ელექტრონულ ჟურნალშიც მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემებზე, ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომა აქვთ: სკოლის დირექციას, დამრიგებელს, საგნის მასწავლებლებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

8. დაწესებულება ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესაბამისად,, და ბრძანებით დადგენილი წესით ახორციელებს ადამიანებისა თუ პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ 2024 წლის 05 სექტემბრის N 08 სხდომაზე დამტკიცებული დოკუმენტი „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება“;
- სკოლას აქვს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2023 წელს გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა;



- „სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის პერსონალური მონაცემების დაცვა“, დამტკიცებული სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-119, 11.10.2024წ..
- წერილი შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით (MES 9 25 0000447570, 13/05/2025წ.);
- ძველი თბილისის რესურსცენტრის ბრძანება (MES 5 25 0000315978, 21/03/2025წ.) „საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის იმ თანამშრომლის განსაზღვრის შესახებ, რომელიც სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლაში უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციების განხორციელებას“.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლა მდებარეობს - ქალაქი თბილისი, სოფელ წავკისი, რუსთაველის ქუჩა N1, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების 9736 კვ. მ მიწის ფართობზე. აღსანიშნავია, რომ 2024 წელს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ განახორციელა სკოლის სრული რეაბილიტაცია, ასევე, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის შესაბამისად, რომელიც გაცემულ იქნა 2023 წელს, სკოლის რეაბილიტაციამდე, ჩატარდა გამაგრებითი სამუშაოები. თუმცა, სკოლას ამ დრომდე არ აქვს გადაცემული მიღება-ჩაბარების აქტი ჩატარებული სამუშაოების შესახებ და შესაბამისად, შენობა არ არის მიღებული ექსპლუატაციაში. სკოლის შენობა 3 სართულიანია და აღჭურვილია საჭირო ინვენტარით. მასში ფუნქციონირებს 12 საკლასო ოთახი, რეკრეაციული სივრცე, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი, სამედიცინო კაბინეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობის ოთახი, სპორტული დარბაზი გასახდელებით და გარე მოედანი, სააქტო დარბაზი, სამასწავლებლო, მანდატურის ოთახი, დაცვის ოთახი, დირექტორის და ადმინისტრაციის ოთახი და სხვა. სკოლა სრულადაა ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის (გარე პანდუსი, ლიფტი, საპირფარეშო, რესურსოთახი). შენობაში დამონტაჟებულია 49 ვიდეოსათვალთვალო კამერა.

სკოლის ეზო გარშემორტყმულია ღობით. მასში დამონტაჟებულია ლითონის კონსტრუქცია, მეხამრიდი, რომელსაც ბოძის ფორმა აქვს და ემსახურება მოსწავლეების და პერსონალის დაცვას ელექტრონული დაზიანებისგან. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტებმა დაათვალიერეს სკოლის ექიმის კაბინეტი. რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანებით №41/5/01-23/, 21.03.2022წ. წარმოდგენილ რეგულაციებს. დაწესებულებას წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 10.06.2025-10.06.2027 პერიოდი. ინდიკატორი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ მოიპოვის მიღება-ჩაბარების აქტი ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ.

2. დაწესებულებას შედგენილი და სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 27 ნოემბრის N2-141 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის ახალ რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურა, ლაბორატორიები, სპორტული და სააქტო დარბაზები უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების თანაბარ წვდომას და სივრცეების ფუნქციურ გამოყენებას. მატერიალური რესურსები განთავსებულია მოსწავლისა და პედაგოგისათვის ადვილად მისაწვდომ ადგილას, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ მიმდინარეობას. სკოლის ბიბლიოთეკა ღიაა სწავლების დროის განმავლობაში. ყველა კლასი უზრუნველყოფილია ბაზისური სასწავლო ინვენტარით; სპორტული დარბაზი და კომპიუტერული ლაბორატორია გამოიყენება საჭიროების შესაბამისად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. ექსპერტებმა ვიზიტის დროს დაათვალიერეს სკოლის ბიბლიოთეკაც, რომელიც კეთილმოწყობილია. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სახელმძღვანელოები, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, დამხმარე სახელმძღვანელოები. წიგნები აღრიცხული და დამუშავებულია კანონით დადგენილი წესით. დაწესებულების ინფორმაციით, ბიბლიოთეკაში მოეწოება სამკითხველოც, შესაბამისი ინვენტარი უახლოეს მომავალში გადაეცემა სკოლას ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოდან. სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 15 იანვრის N 2-07 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის მუშაობის წესი (დებულება)“, განსაზღვრავს სკოლის ბიბლიოთეკაში დაცული საბიბლიოთეკო რესურსის გამოყენებისა და სარგებლობის წესს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის შესასვლელში არის მოძრავი პანდუსი (ელექტრონულად მართული მოწყობილობა), ასევე, ლიფტი. როგორც უკვე აღინიშნა, სსსმ მოსწავლეებისათვის დაწესებულების სრული ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის მიზნით, ყველა სართულზე ადაპტირებულია სველი წერტილები. სკოლის რესურსოთახი კეთილმოწყობილია და აღჭურვილია სასწავლო რესურსებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. სკოლის ინფრასტრუქტურა არა მხოლოდ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის ფიზიკურ სივრცეს, არამედ უწყობს ხელს სკოლის, როგორც სოციო-კულტურული ცენტრის ჩამოყალიბებას. სასწავლო შენობა და მასში არსებული სივრცეები — საგნობრივი კაბინეტები, სპორტული და საბიბლიოთეკო სივრცეები, ეზო და საკლუბო ოთახი (თვითმმართველობის სივრცე) — მიზანმიმართულად გამოიყენება კულტურული ღონისძიებების, საგანმანათლებლო პროექტებისა და არაფორმალური აქტივობებისთვის. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა თვითგამოხატვასა და შემოქმედებით ჩართულობას, რაც ხორციელდება როგორც შიდა, ასევე საზოგადოებაზე ორიენტირებული ღონისძიებებით. ამ პროცესში აქტიურად ერთვებიან მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები და ადგილობრივი თემის წარმომადგენლები. ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ინკლუზიურობას,

მრავალფუნქციურობას და უსაფრთხო გარემოს, რაც აძლიერებს სკოლის როლს ადგილობრივი საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საჯარო რეესტრის ამონაწერი;
- სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 27 ნოემბრის N2-141 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“;
- სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 15 იანვრის N 2-07 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის მუშაობის წესი (დებულება)“.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია, ასევე, დაწესებულების სარგებლობაში არსებული კომპიუტერული ტექნიკა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლას აქვს 25 პერსონალური და 35 პორტატული კომპიუტერი, 4 პრინტერი და 3 პროექტორი. კომპიუტერულ ლაბორატორიაში 14 პერსონალური კომპიუტერია დაკავშირებული ინტერნეტთან. სკოლაში ინტერნეტით სარგებლობა შესაძლებელია ნებისმიერ ოთახში, ისეა მოწყობილი ინტერნეტ ქსელი, რომ ყველა ოთახს მიეწოდება ინტერნეტი. დაწესებულებას შედგენილი აქვს ციფრული განვითარების გეგმა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლას შედგენილი და დამტკიცებული აქვს „სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“, რომლის მე-5 მუხლი განსაზღვრავს მოსწავლეების, მასწავლებლების და სკოლის სხვა თანამშრომლების კომპიუტერული ტექნიკის მოხმარების წესს. აღსანიშნავია, რომ შაბათ – კვირას და შრომის კოდექსით განსაზღვრულ უქმე დღეებში, საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელ პირთან ერთად, კომპიუტერული ლაბორატორია ასევე ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი სკოლის ვებ. გვერდის ადმინისტრირებაზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- „სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“;
- სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სკოლის ვებ. გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი;
- სკოლის ციფრული განვითარების გეგმა.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 15 იანვრის N 2-05 ბრძანებით დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი, რომელიც შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით და ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. დაწესებულებაში კანონით დადგენილი წესით იწარმოება სარეგისტრაციო ჟურნალები, რომლებიც ექსპერტებმა ვიზიტის მიმდინარეობისას დაათვალიერეს და დაადგინეს შესაბამისობა საქმისწარმოების არსებულ წესთან. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
2. სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული საქმისწარმოების ავტომატიზირებული სისტემის გამოყენების საშუალებით, პროგრამის „eflow“-ის მეშვეობით. დაწესებულება აქტიურად იყენებს Microsoft Teams – ის ელექტრონულ პლატფორმას შეხვედრების ორგანიზებისთვის, დოკუმენტაციის/მასალის გაზიარებისთვის. სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტა: tbilisi211@mes.gov.ge – კომუნიკაციის ეფექტური საშუალებაა. სკოლას აქვს ვებ. გვერდი: <https://skolebi.emis.ge/>. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
3. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტებმა განიხილეს სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. როგორც გაირკვა, სკოლას სრულყოფილად აქვს შევსებული ყველა ველი. მითითებულია ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ, არჩეული აქვთ სახელმძღვანელოები, შეტანილი აქვთ სკოლის პერსონალის და მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლების პერსონალური მონაცემები და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
4. სკოლა უზრუნველყოფს ანგარიშების წარდგენას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან. კერძოდ, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე დირექტორი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ანგარიშს

წარუდგენს სამეურვეო საბჭოს. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ანგარიში წარედგინება პარლამენტს, პრეზიდენტს და პრემიერ მინისტრს. სკოლის ფინანსური დოკუმენტაცია (სკოლის ბალანსი) ასევე, კანონით დადგენილ ვადებში და წესით, წარედგინება საგანმანათლებლო რესურსცენტრს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 15 იანვრის N 2-05 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესი;
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შესაბამისი ველები.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლას აქვს ვებ. გვერდი: <https://skolebi.emis.ge/> და მასზე განთავსებული დოკუმენტაცია უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების ინფორმირებას. სკოლას აქვს შესაბამისი გვერდი სოციალურ ქსელშიც. სკოლაში შესასვლელ ფოიეში, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც ყველას შეუძლია გაეცნოს სიახლეებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ვებ. გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც პასუხს აგებს გავრცელებული ინფორმაციის უტყუარობასა და ვალიდურობაზე. სკოლის მიერ დამტკიცებული და ოფიციალური სტატუსის მქონე დოკუმენტების გაზიარება სასკოლო საზოგადოებისთვის ხორციელდება კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. პირისპირ კომუნიკაციის საფუძველზე ან სოციალური ქსელში, ასევე, ელექტრონულ ფოსტით მიღებული უკუკავშირი სკოლისათვის საქმიანობის გაუმჯობესების, ინტერვენციების განხორციელების საფუძველია. სკოლას შედგენილი აქვს მშობლებთან ურთიერთობის დებულება (სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის დირექტორის 2021 წლის 01 მარტის N 2-09 ბრძანება) რომელიც არეგულირებს მშობელსა და სკოლას შორის არსებული ურთიერთობების ძირითად ასპექტებს და შედეგად, უზრუნველყოფილია შესაბამისი ცვლილებები - როგორც უკვე აღინიშნა, სკოლა აწარმოებს მშობლების გამოკითხვას და გამოკითხვის შედეგების საფუძველზე, გეგმავს ცვლილებებს. ვიზიტის დროს, ექსპერტებმა განიხილეს გამოკითხვის შედეგები (Google Forms-ის კითხვარები) და დარწმუნდნენ, რომ პროცესები რეალურად მიმდინარეობს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლას აქვს ვებ. გვერდი, ელექტრონულ პლატფორმაზე: <https://skolebi.emis.ge/> და მასზე განთავსებული ინფორმაცია ქართულ ენაზეა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. სკოლის ვებ. გვერდი ინფორმაციულია და დაინტერესებულ პირებს აწვდის ინფორმაციას სკოლის ფილოსოფიის, სტრუქტურის, პროგრამების შესახებ. აგრეთვე, დეტალურად აღწერს ჩარიცხვის პროცედურებს, გასაჩივრების მექანიზმებს, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნებს, გასაჩივრების მექანიზმებს და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ. გვერდი - <https://bit.ly/45pKLGW>;

- სოციალური ქსელის გვერდი;
- მშობლებთან ურთიერთობის დეზულება - სსიპ ქალაქ თბილისის N211 საჯარო სკოლის დირექტორის 2021 წლის 01 მარტის N 2-09 ბრძანება;
- Google Forms-ის კითხვარები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით. სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. სკოლის დირექტორი თანხებს განკარგავს სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებული სკოლის ბიუჯეტით, რომლის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია დაწესებულების სავარაუდო შემოსავლები, მომდევნო წლის პრიორიტეტები - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული, სავარაუდო ხარჯები, ასევე, საბიუჯეტო პოლიტიკა და კალენდარი. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. დაწესებულებას, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აქვს ფინანსური რესურსების მართვის სისტემა. ბიუჯეტის და შესყიდვების გეგმის დამტკიცება ხორციელდება კანონით დადგენილი წესით და ვადებში. ექსპერტებმა განიხილეს სკოლის შესყიდვებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, მათ შორის, ფინანსური საქმიანობის ანგარიში, რომელშიც წარმოდგენილია წარმოდგენილია სკოლის ბიუჯეტის, ფინანსური რესურსების და ქონების მართვის ინფორმაცია, მათი გამოყენების ეფექტურობა, მიღწეული შედეგები და გამოწვევები. ფინანსური დაგეგმვის პროცესი ძირითადად ეყრდნობა პროგნოზებს, შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია დადგეს ბიუჯეტის გადახედვისა და მასში ცვლილებების შეტანის საკითხი. სკოლის ფინანსურ საქმიანობას აკონტროლებს სკოლის ბუღალტერი. სკოლის ბიუჯეტს ამტკიცებს და საჭიროების შემთხვევაში მასში ცვლილებები შეაქვს სამეურვეო საბჭოს. სამეურვეო საბჭოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით წარედგინება სკოლის ფინანსური საქმიანობის ანგარიში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს ოქმი სკოლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი სკოლის ბიუჯეტის ცვლილებაზე;
- საპროგნოზო ბიუჯეტი სკოლის ვებგვერდზე;
- ფაქტობრივი ბიუჯეტი ;
- შესყიდვების წესისა და გეგმის დამტკიცების ბრძანება;
- ბრძანება შესყიდვების კოორდინატორისა, გეგმის კორექტირებისა და ატვირთვაზე პასუხისმგებელი პირის;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შედგენილი აქვს შრომის შინაგანაწესი. მისი დაცვის და აღსრულების უზრუნველსაყოფად იგი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. შინაგანაწესში წარმოდგენილია ის წესები და პირობები, რომელთა გათვალისწინებით ხდება სკოლაში მოსწავლის უფლებების დაცვა და რომელთა დარღვევის შემთხვევაში, სკოლის დისციპლინური კომიტეტი უზრუნველყოფს შესაბამის რეაგირებას. სკოლაში ფუნქციონირებს მანდატურის სამსახური. მკაცრად რეგულირდება შენობაში შესვლა, დასვენებებზე მორიგე მასწავლებლებიც თვალყურს ადევნებენ მოსწავლეებს. სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი. მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულებაც მოიცავს სკოლის ვალდებულებებს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის მიმართულებით. უცხოური ენების და არჩევითი საგნების სწავლებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ასევე, პროფესიულ სასწავლებლებთან. დაცულია მოსწავლეთა უსაფრთხოება და საზოგადოებრივი წესრიგი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
2. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის ადმინისტრაცია ან კლასის დამრიგებლები აცნობენ მოსწავლის მშობლებს დოკუმენტებს, როგორიც არის შინაგანაწესი, სასკოლო-სასწავლო გეგმა და ა.შ. აღნიშნული დოკუმენტაცია განთავსებულია სკოლის ვებ. გვერდზე, ასევე, გამოკრულია შენობაში თვალსაჩინო ადგილას, რათა გახადოს ის ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ შედგენილი ხელშეკრულების ნიმუში, გაფორმებული მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან, სადაც დეტალურად არის გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები, ასევე ვალდებულებები (მე-3 მუხლი). **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

